გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 197

2023 წლის 10 ნოემბერი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ

2023 წლის 13 ოქტომბერს შემოსულია საკრებულოს წევრის გიორგი სოსიაშვილის განცხადება (საკრებულოს რეგისტრაცია: N:19/21232861-21; 13.10.2023 წელი), რომლითაც იხსნის საკრებულოს წევრის უფლებამოსილებას. „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ეხსნება პირადი განცხადებით, მისი აპარატში ჩაბარების (რეგისტრაციის) მომდევნო დღიდან. აქედან გამომდინარე საჭიროა ვადაზე ადრე მისი უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის ცნობად მიღება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.გ" ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე,

1. ცნობად იქნეს მიღებული გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი სოსიაშვილის ვადამდე საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა 2023 წლის 15 ოქტომბრიდან.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ.გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე